



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135242921

თარიღი:18/10/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზაურ ჩართოლანის და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შორენა ცინდელიანის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მივლინებულ იქნან, მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაურ ჩართოლანი და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შორენა ცინდელიანი მესტიის მუნიციპალიტეტში - დაბა მესტიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ობიექტების მონიტორინგის მიზნით ამა წლის 21 ოქტომბერს.
2. განისაზღვროს, ავტომობილ „LEXUS“-ზე, **სახ. ნომრით: SK-077-SS** მესტია-ჭუბერი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 80 ლიტრით.
3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს 1 (ერთი) დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.
4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.
5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის” 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

